

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

შპს ტრანსიბერიატრანზიტი

2022 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. . ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო
პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლის ანაგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	4	9397425	5946402
სხვა შემოსავლები	5	534702	227,620
ცვლილებები მარაგის ნაშთში: მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება		(188944)	(22435)
შემენილი მომსახურების ხარჯები		(7070673)	(5233508)
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(1102567)	(836073)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(42189)	(36170)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(38128)	(18074)
იჯარის ხარჯი		(20863)	(8450)
საგადასახადო ხარჯი(გარდა მოგებისა)		(42992)	(26463)
სხვა ხარჯები	6	(377496)	(46136)
ფინანსური ხარჯები		(325184)	(261562)
მოგება დაბეგვრამდე		723092	(314849)
საგადასახადო ხარჯი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		723092	(314849)

შპს „ტრანსიბერიატრანზიტი“-ის დირექტორი

რამაზ ალფაიძე

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

აქტივები		31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3,081,284	2,983,040
მიწა	7	2,261,160	2261160
ინვესტიციები სხვა საწარმოებში	8	-	-
არამატერიალური აქტივები	9	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>5,342,444</u>	<u>5,244,200</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგი		40,829	6,631
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,373,322	450,121
საგადასახადო მოთხოვნები		3,806	-
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	69,237	15,505
სულ მიმდინარე აქტივები		1,487,193	<u>472,257</u>
სულ აქტივები		<u>6,829,637</u>	<u>5,716,457</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	13	3,815,056	311,157
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>3,815,056</u>	<u>311,157</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი		2,000	39,573
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		890,521	894,732
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		<u>532,422</u>	(309,749)
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>1,424,943</u>	<u>624,556</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,277,367	519,399
საგადასახადო ვალდებულებები		17,158	25,727
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	14	48,059	108266
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	52,959	3,780,691
გრძ. სასესხო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	13	177,643	221,896
სხვა ვალდებულებები		16,450	9,897
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>1,589,638</u>	<u>4,665,877</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>6,829,637</u>	<u>5,716,457</u>
შპს ტრანსიბერიატრანზიტი“-ის დირექტორი		რამაზ ალფაიძე	

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	9,273,102	8014513
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(7,712,487)	(6663824)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(1,016,822)	(268125)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	543,793	159,715
გადახდილი გადასახდები მოგების გადასახადის გარდა	32948	346,758
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	510,845	506,473
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	510,845	506,473
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(256,590)	(1,708,630)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(256,590)	(1,708,630)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ცვლილება	(37,573)	37,573
გადახდილი პროცენტები	(287,619)	(250,448)
სესხის დაფარვა	(4,967,248)	(1,500,871)
სესხის მიღება	5,186,435	2,922,302
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(106,005)	1,208,556
სავალუტო გადაფასების მოგება/ზარალი	(94,519)	(18,132)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	(53732)	(11,734)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	11 15,505	27,239
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	11 69,237	15,505
შპს ტრანსიბერიატრანზიტი“-ის დირექტორი	რამაზ ალფაიძე	

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.12.2020 წაშთი	2000	895939	118,761	1016700
წმინდა მოგება/ზარალი	-		(314849)	314849
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვის შემცირება	-	(1207)	1207	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	37573			37573
31.12.2021 წაშთი	39,573	894,732	(194,883)	739422
წმინდა მოგება/ზარალი	0,00		723092	723092
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვის შემცირება		-4211	4211	0
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-37573			-37573
31.12.2022 წაშთი	2000	890521	532422	1424943

შპს ტრანსიბერიატრანზიტი“-ის დირექტორი

რამაზ ალფაიძე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 . ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს ტრანსიბერიატრანზიტის ჯგუფის კონსოლიდირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ჯგუფის სათავო კომპანია **შპს ტრანსიბერიატრანზიტი** რეგისტრირებულია საქართველოში 2000 წლის 22 დეკემბერს. საიდ. კოდი 202171434 . სათავო კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო თბილისი, დიდუბის რაიონი, სოხუმისა და ევდოშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, კომერციული ფართი 4ა. ფინანსური ანგარიშგების მომზადების ეტაპზე სათავო კომპანიის ოფისი განთავსებულია აღნიშნულ მისამართზე.

ჯგუფის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

ჯგუფი ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის კომპანიების საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

საწარმოთა ჯგუფში გაერთიანებულია საქართველოში რეგისტრირებული შვილობილი კომპანიები, რომელთა საკონტროლო წილებს ფლობს ჯგუფის სათავო კომპანია. ეს კომპანიებია:

სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი	ძირითადი საქმიანობა	ფლობილი წილი (%)	
		31.12.2020	31.12.2021
შპს „კონსალტინგიმპექსი“202219946	ამჟამად არ ფუნქციონირებს	100%	100%

შპს ტრანსიბერიატრანზიტი - ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები: სარკინიგზო, საზღვაო, საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების ექსპედირება, სატრანსპორტო დოკუმენტების გაფორმება და საერთაშორისო გადაზიდვები..

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის რამაზ ალფაიძე (პ.ნ 01019015286). საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან: რამაზ ალფაიძე (პ.ნ 01019015286) - 50% წილის მფლობელი და გიორგი კურკუმული (01024016942) - 50% წილის მფლობელი.

საწარმოს მფლობელებს საწესდებო კაპიტალი შევსებული აქვთ და მათ კაპიტალის შევსების ვალდებულება არ აკისრიათ.

შპს „კონსალტინგიმპექსი“- შექმნილია 2004 წლის 30 იანვარს, თუმცა დღემდე სამეწარმეო საქმიანობა არ განუხორციელებია.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის რამაზ ალფაიძე (პ.ნ 01019015286).

საწარმოს მფლობელს საწესდებო კაპიტალი შევსებული აქვს და მათ კაპიტალის შევსების ვალდებულება არ აკისრიათ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ შესაბამისად..

ჯგუფის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა. იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) ამონაგების აღიარება

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

პროცენტი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

(ბ) მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

(გ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

	უცხოური ვალუტა	31.12.2022 წელი	31.12.2021 წელი
1	აშშ დოლარში (USD)	2.7020	3,0976
2	ევრო (EUR)	2.8621	3,5080

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა,.

(დ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

(ე) მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფაშპს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფაშპს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება „პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში“ (ფიფო) მეთოდი.

(ვ) დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება მაშინ, როდესაც ძალაში შევა საწარმოს უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

(ზ) იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მი-ნიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გა-დასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცი-რებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუ-ფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასე-ბას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწა-რმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით საწარმოს განკარგულებაში არსებული აქტივები აღიარდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება მოთხოვნის სახით, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელები ასახავს როგორც ძირითადი თანხის, ისე გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირებას და ნაწილდება მათ შორის ისე, რომ ფინანსური შემოსავლის აღიარება ასახავდეს ფინანსურ იჯარაში საწარმოს წმინდა საიჯარო ინვესტიციებიდან უკუგების მიღების მუდმივ პერიოდულ განაკვეთს.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით,

(თ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება გარდა მიწისა და შენობა ნაგებობებისა ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალებები მიწა და შენობა ნაგებობები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახით. თუ

გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ანალოგიურად, გადაფასების შემცირებად განიხილება გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური გა-ნაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5%
- მანქანა-დანადგარები 10-15%
- საოფისე აღჭურვილობა 20-30%
- ავეჯი და მოწყობილობები 14-20%
- სატრანსპორტო საშუალებები 10-20%
- სხვა ძირითადი საშუალებები 5-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცე-მული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

(ი) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

(კ) აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების (რომელიც აღრიცხული არ არის გადაფასების მოდელის შესაბამისად) არამატერიალური აქტივების, განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნე-ბისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუ-დარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქ-ტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებო-და იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ლ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

(მ) სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში

(ნ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

(ო) სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადა-სახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

(პ) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

4. ამონაგები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	სატრანსპორტო და საექსპედიტორო მომსახურება	9396402	5,929,540
2	სატრანსპორტო და საექსპედიტორო მომსახურება ქვეყნის ფარგლებს გარეთ	-	16,862
	ჯამი	9397425	5,946,402

5. სხვა შემოსავლები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	საკუროს სხვაობები რეალური ღირებულებით შეფასებული ფინ. ინსტრ. საკუროს სხვაობების გამოკლებით	508577	215690
2	საიჯარო შემოსავლები	6816	8400
3	პანდემიის შედეგად მიღებული შეღავათი	-	3530
4	უსასყიდლოდ მიღებული საქონელი	15000	
5	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4309	
	ჯამი	534702	227,620

6. სხვა ხარჯები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	ბანკის საკომისიო	30112	15223
2	საფოსტო მომსახურება	1928	1507
2	საინფორმაციო მომსახურება	6029	4721
3	დაცვის მომსახურება	7881	1440
4	რემონტი	56262	
5	მივლინების ხარჯი	20182	1222
6	საგარანტიო ხარჯი	19502	5431
7	სპეცტანსაცმელი		
8	საკონსულტაციო მომსახურება	9873	
9	წარმომადგენლობითი ხარჯი	59	392
10	სხვა ხარჯი	4408	14206
11	ძირ.საშუალების უსასყიდლოდ გადაცემის ხარჯი	69016	
12	საქველმოქმედო ხარჯი		
13	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	152244	1994
	ჯამი:	377496	46136

7. ძირითადი საშუალებები

ბალანსში რეალური ღირებულების მოდელით ასახული ძირითადი საშუალებები

დასახელება	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობები	სულ
გადაფასებული ღირებულება				
ნაშთი: 31.12.2021	<u>2,261,160</u>	<u>8,400</u>	<u>2,387,417</u>	<u>4,656,977</u>
აქტივების შეძენა		0	2,035	2,035
აქტივების გასვლა/რეკლასიფიკაცია		(8400)	(57785)	(66185)
ნაშთი: 31.12.2022	<u>2,261,160</u>	<u>0</u>	<u>2,331,667</u>	<u>4,592,827</u>
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	-	-	-	-
ნაშთი: 31.12.2022	<u>0</u>	<u>0</u>	<u>29,466</u>	<u>29,466</u>
წლიური ცვეთა გაუფასურება	-	0	18,985	18,985
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	1,349	1,349
ნაშთი: 31.12.2022	<u>0</u>	<u>0</u>	<u>49,800</u>	<u>49,800</u>
<u>საბალანსო ღირებულება 31.12.2021</u>	<u>2,261,160</u>	<u>8,400</u>	<u>2,357,951</u>	<u>4,627,511</u>
<u>საბალანსო ღირებულება 31.12.2022</u>	<u>2,261,160</u>	<u>0</u>	<u>2,281,867</u>	<u>4,543,027</u>

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის საწარმოს ბალანსზე რიცხული 2,261,160 ლარის ღირებულების მიწა და მასზე მიმაგრებული 741594 ლარის ნარჩენი ღირებულების ტერმინალის შენობა დატვირთულია იპოთეკით როგორც სესხის უზრუნველყოფის საგანი. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს სასახო ვალდებულებები ბანკის მიმართ შეადგენს 4045658 ლარს.(შენიშვნა N13)

ბალანსში თვითღირებულების მოდელით ასახული ძირითადი საშუალებები

დასახელება	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
თვითღირებულება					
ნაშთი: 31.12.2021	531,993	59,083	60,445	32,270	683,791
აქტივების შეძენა	164435	17,502	7,057	26,420	215,414
აქტივების გასვლა		-30,580	-13,303	-	-43,883
ნაშთი: 31.12.2022	696,428	46,005	54,199	58,690	855,322
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
ნაშთი: 31.12.2021	1409	33886.7	23257	8547	67,100
წლიური ცვეთა	14540	8623	2485	2795	28,443
გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-28544	-11093	-	-39,637
ნაშთი: 31.12.2022	15949	13965.7	14649	11342	55,906
საბალანსო ღირებულება 31.12.2021	530,584	25,196	37,188	23,723	616,691
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	680,479	32,039	39,550	47,348	799,416

8. არამატერიალური აქტივები

	აქტივის დასახელება	ნაშთი 31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 01.01.2021
	თვითღირებულება				
1	პროგრამული უზრუნველყოფა	1792			1792
	ჯამი	1792			1792
	დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება	ნაშთი 31.12.2022	წლიური ამორტიზაცია	გასული აქტივების დაგროვილი ამორტიზაცია	ნაშთი 01.01.2021
1	პროგრამული უზრუნველყოფა	1792			1792
	ჯამი	1792			1792
	საბალანსო ღირებულება 31.12.2022	0			0

კომპანიის ბალანსზე რიცხული ბროგრამული უზრუნველყოფის თვითღირებულება და ამორტიზაცია ერთმანეთის ტოლია

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	სავაჭრო დებიტორები	242767	339339
	გაუფასურების ზარალის თანხა	-	-
	მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები		
	სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	242767	339339
2	წინასწარ გადახდილი საქონლისა და მომსახურების ღირებულება	1130555	110762
	ჯამი:	1373322	450121

10. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - ლარი	15216	2938
2	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - უცხოური ვალუტა	54021	12567
	ჯამი:	69237	15505

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	სავაჭრო ვალდებულებები	161314.56	348579
	მ.შ. დაკავშირებული მხარეებისათვის გადასახადელი		-
2	სხვა მომწოდებლებისათვის გადასახადელი	1113388.56	86985
3	წინასწარ მიღებული თანხები	2665	83835
	ჯამი:	1,277,368	519,399

12. სავალსე ინსტრუმენტის პირობები

სავალსე ინსტრუმენტის პირობები	სესხის ვალუტა	ნაშთი 31.12.2022	დაფარვის ვადა	მიმდინარე ნაწილი (ლარი)
-------------------------------	---------------	------------------	---------------	-------------------------

ბანკის სესხი მოკლევადიანი		ვალუტა	ლარი		
საკრედიტო ხაზი	USD	19600	52959	31.10.2023	52959
ჯამი		19600	52959		52959
სხვა გრძელვადიანი სესხი					
დამფუძნებლის სესხი	USD	574000	1550948	31.12.2025	0
ბანკის სესხი	USD	713	1926	20.01.2023	1927
ბანკის სესხი	USD	902970	2439825	20.01.2023	175717
ჯამი		1477683	3992699		177643
სულ ნასესხები სახსრები		1497283	4045658		230602

სავალო ინსტრუმენტით განსაზღვრული შეზღუდვების შესახებ ინფორმაცია გახსნილია N 7 შენიშვნაში.

მიღებული სესხების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებულმა საპროცენტო ხარჯების მთლიანმა თანხამ შეადგინა 302.242 ლარი (წინა შესადარის პერიოდში შეადგენდა 241,130 ლარს).

13. ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე

კომპანიას 2021 წლის 12 ნოემბერს 4 წლიანი ფინანსური იჯარით აქვს აღებული 360990 ლირებულების მანქანა დანადგარი, საიდანაც ფინანსური იჯარის ვალდებულება შეადგენს 48049. ლარს.

14. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

დასახელება	კავშირი კომპანიასთან	მიწოდების ოპერაციის სახე	ნაშთი 31.12.2021	განხორციელებული ოპერაციის ოდენობა	ნაშთი 31.12.2022	დაფარვის ვადები
შპს „ოილ ტრეიდიנגი“	დამფუძნებელი/ დირექტორი ფლობს 50% წილს	-	-	-	--	-
ჯამი			-	-	-	

2022 წელს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა 197484 ლარი. (2021 წ. – 197941)

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 01 სექტემბერს.

სრული შემოსავლის ანაგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	4	9397425	5946402
სხვა შემოსავლები	5	534702	227,620
ცვლილებები მარაგის ნაშთში: მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება		(188944)	(22435)
შემენილი მომსახურების ხარჯები		(7070673)	(5233508)
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(1102567)	(836073)
ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(42189)	(36170)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(38128)	(18074)
იჯარის ხარჯი		(20863)	(8450)
საგადასახადო ხარჯი(გარდა მოგებისა)		(42992)	(26463)
სხვა ხარჯები	6	(377496)	(46136)
ფინანსური ხარჯები		(325184)	(261562)
მოგება დაბეგვრამდე		723092	(314849)
საგადასახადო ხარჯი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		723092	(314849)

შპს „ტრანსიბერიატრანზიტი“-ის დირექტორი

რამაზ ალფაიძე



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები		31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3,081,284	2,983,040
მიწა	7	2,261,160	2261160
ინვესტიციები სხვა საწარმოებში	8	-	-
არამატერიალური აქტივები	9	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივი		5,342,444	5,244,200
მიმდინარე აქტივები			
მარაგი		40,829	6,631
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	1,373,322	450,121
საგადასახადო მოთხოვნები		3,806	-
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	69,237	15,505
სულ მიმდინარე აქტივები		1,487,193	472,257
სულ აქტივები		6,829,637	5,716,457
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	13	3,815,056	311,157
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,815,056	311,157
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი		2,000	39,573
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		890,521	894,732
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		532,422	(309,749)
სულ საკუთარი კაპიტალი		1,424,943	624,556
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,277,367	519,399
საგადასახადო ვალდებულებები		17,158	25,727
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	14	48,059	108266
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13	52,959	3,780,691
გრძ. სასესხო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	13	177,643	221,896
სხვა ვალდებულებები		16,450	9,897
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,589,638	4,665,877
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,829,637	5,716,457
შპს ტრანსიბერიატრანზიტი-ის დირექტორი		რამაზ ალფაიძე	



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	9,273,102	8014513
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(7,712,487)	(6663824)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(1,016,822)	(268125)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	543,793	159,715
გადახდილი გადასახდები მოგების გადასახადის გარდა	32948	346,758
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	510,845	506,473
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	510,845	506,473
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(256,590)	(1,708,630)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(256,590)	(1,708,630)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის ცვლილება	(37,573)	37,573
გადახდილი პროცენტები	(287,619)	(250,448)
სესხის დაფარვა	(4,967,248)	(1,500,871)
სესხის მიღება	5,186,435	2,922,302
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(106,005)	1,208,556
სავალუტო გადაფასების მოგება/ზარალი	(94,519)	(18,132)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრადა/შემცირება	(53732)	(11,734)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	11 15,505	27,239
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	11 69,237	15,505

შპს ტრანსიბერიატრანზიტი“-ის დირექტორი

რამაზ ალფაიძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.12.2020 წაშთი	2000	895939	118,761	1016700
წმინდა მოგება/ზარალი	-		(314849)	314849
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვის შემცირება	-	(1207)	1207	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	37573			37573
31.12.2021 წაშთი	39,573	894,732	(194,883)	739422
წმინდა მოგება/ზარალი	0,00		723092	723092
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვის შემცირება		-4211	4211	0
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-37573			-37573
31.12.2022 წაშთი	2000	890521	532422	1424943

შპს ტრანსიბერიატრანზიტი“-ის დირექტორი

რამაზ ალფაიძე

